# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

## ბრძანება № 01-09-10/44

ქ. თბილისი 02 03 2020 წ.

**"2019-2020 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ" სტუ-ის 2020 წლის 28 იანვრის №01-09-10/19 ბრძანების ცვლილების შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, "ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის №296 ბრძანებისა და სტუ-ის რექტორატის 2020 წლის 01 მარტის სხდომის გადაწყვეტილების (ოქმი №1) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „2019/2020 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ" სტუ-ის 2020 წლის 28 იანვრის №01-09-10/19 ბრძანებაში (შემდგომში ბრძანება) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანებას დაემატოს 1[1] პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„1[1]. 2020 წლის 02 მარტიდან შეჩერდეს სასწავლო პროცესი და განახლდეს 16 მარტს."

ბ) ბრძანების მე-2, მე-4 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სასწავლო კომპონენტში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) ჩატარდეს მე-9 სასწავლო კვირაში – 2020 წლის 04 მაისიდან 09 მაისის ჩათვლით; მიმდინარე აქტივობები შეფასდეს შესაბამის სილაბუსში მითითებულ კვირებში; დოკუმენტური მასალის ჩაბარება მოხდეს მე-15, მე-16 და მე-17 კვირებში, 2020 წლის 15 ივნისიდან 04 ივლისის ჩათვლით, შესაბამის დასკვნით გამოცდამდე. დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2020 წლის 22 ივნისიდან 04 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 2020 წლის 06 ივლისიდან 11 ივლისის ჩათვლით (იხ. დანართი 1)."

„4. დოქტორანტურის კომპონენტში – „დისერტაციის დასრულება და დაცვა" დისერტაციის წინასწარი დაცვა, როგორც წესი, ჩატარდეს მე-8 სასწავლო კვირაში – 2020 წლის 13 აპრილიდან 18 აპრილის ჩათვლით (იხ. დანართი 1)."

„7. შუასემესტრული გამოცდები (არსებობის შემთხვევაში) ჩატარდეს სააუდიტორიო მეცადინეობების პარალელურად (იხ. დანართი 1)."

გ) ბრძანების პირველი და მე-3 დანართები ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს (თ. წერეთელს).
3. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი დავით გურგენიძე

*დანართი 1*

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## 2019-2020 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო გრაფიკი

(გარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა)

| სწავლების საფეხური | 24 -29 თებერვალი | 02 - 15 მარტი | 16 - 21 მარტი | 23 - 28 მარტი | 30 მარტი - 04 აპრილი | 06 - 11 აპრილი | 13 - 18 აპრილი | 20 - 25 აპრილი | 27 აპრილი - 02 მაისი | 04 - 09 მაისი | 11 - 16 მაისი | 18 - 23 მაისი | 25 - 30 მაისი | 01 - 06 ივნისი | 08 - 13 ივნისი | 15 - 20 ივნისი | 22 - 27 ივნისი | 29 ივნისი - 04 ივლისი | 06 - 11 ივლისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კვირა | I | - | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | XIII | XIV | XV | XVI | XVII | XVIII |
| **სასწავლო კომპონენტები** | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ბაკალავრიატი | სააუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები | - | სააუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები | | | | | | | სააუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები, შუასემესტრული გამოცდები | სააუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები | | | | | სააუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები, დოკუმენტური მასალის ჩაბარება | სესიები (დასკვნითი გამოცდები), დოკუმენტუ-რი მასალის ჩაბარება (შესაბამის გამოცდამდე) | | დამატებითი გამოცდები |
| მაგისტრატურა | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| დოქტორანტურა | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები** | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| მაგისტრატურა | კვლევა | - | კვლევა | | | | | | | | | | | | | დოკუ-მენტური მასალის ჩაბარება | სესიები (დასკვნითი შეფასებები/ დაცვები) | | იხ. დანართი 2 |
| დოქტორანტურა (გარდა კომპონენტისა "დისერტაციის დასრულება და დაცვა") | კვლევა | | კვლევა | | | | | | | | | | | | | | | | |
| დოქტორანტურა ("დისერტაციის დასრულება და დაცვა") | დისერტაციის დასრულება | | დისერტაციის დასრულება დისერტაციის წინასწარი | | | | | | დისერტაციის წინასწარი დაცვა | დისერტაციისა და ავტორეფერატის წარდგენა სადისერტაციო საბჭოში | | დისერტაციის დაცვისთვის მომზადება | | | | | დისერტა-ციის დაცვა | | იხ. დანართი 2 |

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

................................................... ფაკულტეტის

# № .... აკადემიური ჯგუფის სტუდენტთა სასწავლო კურსის შეფასების ელექტრონული უწყისი №

სწავლების წელი: ☐ სემესტრი: ☐ სასწავლო წელი: ☐

სწავლების საფეხური: ☐ ბაკალავრიატი ☐ მაგისტრატურა ☐ დოქტორატურა

სასწავლო კურსის დასახელება:

წამყვანი პროფესორი

ECTS კრედიტი: ☐

სწავლების ფორმა და კვირეული დატვირთვა, სთ :

ლექცია: ☐ პრაქტიკული: ☐ ლაბორატორიული: ☐ თემატური პროექტი: ☐

პრაქტიკა: ☐ სემინარი: ☐ საკურსო პროექტი\ სამუშაო: ☐ სხვა: ☐

| № | გვარი, სახელი | მიმდინარე დასწრება | ჯამური დასწრება | მიმდინარე აქტივობა/კვირა | | | | | | | | | | | | | | | | | | გამოცდები / კვირა | | | საბოლოო შეფასება | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | თემატური პროექტი 1 | თემატური პროექტი 2 | დოკუმენტური მასალა | შუალედური | დასკვნითი | დამატებითი | ქულა | აღნიშვნა |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | XIII | XIV | XV | IX | XV-XVII | XV-XVII | IX | XVI-XVII | XVIII | | |
| - | მაქსიმალური ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

| | |
|---|---|
| სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ............ *ინიც. და გვარი* ............ *ხელმოწერა* ............ *თარიღი* | ფაკულტეტის დეკანი |
| დეპარტამენტის უფროსი ............ *ინიც. და გვარი* ............ *ხელმოწერა* ............ *რეგ.№* ............ *თარიღი* | ............ *ინიც. და გვარი* *ხელმოწერა* |